საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივნისის 7. № 11 ტფილისი

1548

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება

105. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

106. კოოპერატიული სისტემის ორგანიზაციებზე იმ კანონის გაუვრცელებლობის შესახებ, რომლითაც ლიკვიდირებულია სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობა, რაც მათ ძირითად ამოცანებიდან არ გამომდინარეობს.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

107. 1934 წლის თესვისა, მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიისათვის საზომ-საწონი ხელსაწყოების განმზადების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

108. საქართველოს სსრ-ში 1934 წელს ნატურალური მატყლის სახელმწიფოებრივი შესყიდვის შესახებ.

ტრანსპორტი

109. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო თათბირის შესახებ.

შრომა

110. ქალაქ მოსკოვში წარვლინებულ პირთა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა

111. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 77, 112 და 121 მუხლებისა, 122 მუხლის შენიშვნისა და 132 მუხლის შეცვლის შესახებ.

112. „გვარისა და სახელის გამოცვლის წესის თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-2 და 8 მუხლების შეცვლის შესახებ.

განათლება

113. სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების შესახებ.

114. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების შესახებ.

115. მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ.

116. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

105. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობაში და აპარატის სტრუქტურაში საორგანიზაციო ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934. წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 103), ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის შემდეგი ფუნქციონალური სექტორები: შრომისა, სარაიონო დაგეგმვისა, აღსრულების შემოწმებისა და კადრებისა, ქიმიზაციის კომიტეტის აპარატი და ჯუმლობითი დაგეგმვის სექტორი.

ქიმიზაციის კომიტეტისათვის მომსახურეობის გაწევა დაეკისროს მრეწველობის სექტორს.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოდან გადაიცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველო, რომლის ნაცვლად სოციალურ-კულტურულ სექტორთან მოეწყოს ბეჭდვითი დარგის ჯგუფი.

3. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის შემდეგი სტრუქტურა.

ა) მრეწველობის სექტორი (მძიმე, მსუბუქი, საჭამადო, სატყეო, ადგილობრივი მრეწველობის და შინამრეწველობისა, მშენებლობისა და ელექტროფიკაციის ჯგუფებით);

ბ) სასოფლო-სამეურნეო სექტორი (სუბტროპიკული კულტურებისა, მეღვინეობის და მეხილეობისა, მეცხოველეობისა, მემინდვრეობისა და წყალთა მეურნეობის ჯგუფებით);

გ) სოციალურ-კულტურული სექტორი (განათლებისა, ჯანმრთელობისა და კურორტებისა, კომუნალურ-საბინაო და ბეჭდვითი დარგის ჯგუფებით);

დ) ვაჭრობისა და მომარაგების სექტორი;

ე) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი (სარკინისგზო, ურელსო გზების და წყლის ტრანსპორტი);

ვ) საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფი;

ზ) ჯუმლობით-სამონტაჟო ჯგუფი;

თ) სპეციალური სექტორი;

ი) საერთო განყოფილება.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ახალი დებულების პროექტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. აპრილის 20.
ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

106. განმარტება ს.კ.ს.

კოოპერატიული სისტემის ორგანიზაციებზე იმ კანონის გაუვრცელებლობის შესახებ, რომლითაც ლიკვიდირებულია სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობა, რაც მათ ძირითად ამოცანებიდან არ გამომდინარეობს.

რადგანაც იყო შემთხვევები, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არასათანადოდ განმარტავენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 19-ის დადგენილებას „სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობისა და სალატარიო მუშაობის თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1934 წ. № 7 მუხ. 69; გაზ. „კომუნისტის“ 68 №-ი 1934 წ. მარტის 22-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო განმარტავს, რომ აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება კოოპერატიული სისტემების (სარეწაო, საინვალიდო, სამომხმარებლო, საბინაო, სანადირო და სხვა) ორგანიზაციებზე.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 7.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 105 №-ში 1934 წ. მაისის 8.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

107. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წლის თესვისა, მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიისათვის საზომ-საწონი ხელსაწყოების განმზადების შესახებ.

1934 წლის თესვისა, მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიის თავის დროზე რიგიანი საზომ-საწონი ინვენტარით უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა დამმზადებელ ორგანიზაციას საქართველოს სსრ-ში დაუყოვნებლივ შეუდგეს მის ხელთქონებული საზომ-საწონი ინვენტარის გეგმიან რემონტს სპეციალური სახელმწიფო სარემონტო სახელოსნოებში („საქსაწონრემონტი)“ ან თავიანთ სახელოსნოებში.

2. საზომ-საწონი ხელსაწყოების რემონტზე ხელშეკრულებების დადების საბოლოო ვადად დაწესებულ იქნეს მიმდინარე წლის მაისის 15.

3. დაევალოს „საქსაწონრემონტს“—უზრუნველყოს მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიის დასაწყისისათვის დამმზადებელი ორგანიზაციების საზომ-საწონი ხელსაწყოების რემონტი ხელშეკრულებების მიხედვით.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს—ხელი შეუწყონ ყოველმხრივ „საქსაწონრემონტის“ მოძრავ სარემონტო სახელოსნოებს მუშაობაში დროებითი სახელოსნოებისათვის საჭირო სადგომებისა და ბრიგადირებისა და ოსტატებისათვის საცხოვრებელი ფართობის მიჩენით.

5. რადგანაც 1933 წლის სადამზადებლო კამპანიის დროს საზომ-საწონი ხელსაწყოები არასაკმარისი რაოდენობით იყო, რამაც ძლიერი გავლენა მოახდინა დამზადების ტემპებზე, ამიტომ, 1934 წელს ამ ხელსაწყოებით მომარაგების პერსპექტივების ანგარიშში მიღებით, უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს—გადაგზავნონ ხოლმე დროებით საზომ-საწონი ინვენტარის ნაწილი სასოფლო სამეურნეო სექტორისათვის სახალხო მეურნეობის სხვა სექტორებიდან.

6. სასწვრების რემონტისათვის საჭირო კვალიფიციური მუშების ნაკლებობის გამო, ნებადართულ იქნეს მოსავლის აღების კამპანიისათვის (ა/წ. მაისის 15-დან ოქტომბრის 1-მდე) საზომ-საწონი ინვენტარის განმზადების მიზნით, იმ კვალიფიციური მუშების მობილიზაცია სასწვრების სარემონტოდ, რომელნიც მუშაობენ არა თავის სპეციალობაზე სხვადასხვა დაწესებულებაში.

7. ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა საზომ-საწონი ინვენტარით მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიის უზრუნველსაყოფად საჭირო მუშაობისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ საზომ-საწონთა სამმართველოს უფროსს.

8. მიენდოს საქართველოს სსრ საზომ-საწონთა სამმართველოს უფროსს—წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 1-ისა, მოხსენება მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიისათვის საზომ-საწონი ინვენტარის განსამზადებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. ყურულაშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1924 წ. მაისის 9.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება

108. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1934 წელს ნატურალური მატყლის სახელმწიფოებრივი შესყიდვის შესახებ.

„1934 წელს ნატურალური მატყლის სახელმწიფოებრივი შესყიდვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 20-ის თარიღის და 302 №-ის დადგენილებისა და „ა/კსფსრ-ში 1934 წ. ნატურალური მატყლის სახელმწიფოებრივი შესყიდვის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 19-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ-ში 1934 წელს გეგმა მატყლის სახელმწიფოებრივი შესყიდვისა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებისაგან, კოლექტიური მეურნეობებისაგან, კოლმეურნეებისაგან და ერთპიროვნული მეურნეობებისაგან, სახელმწიფოსათვის თვითეული სახის მატყლის (გაზაფხულის, შემოდგომის და ბატკნისა) ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, 125 ტონას რაოდენობით და დამმზადებლებზე, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ზე, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქზე და საქართველოს სსრ რაიონებზე დაყოფით ამასთანავე დართული ცხრილის თანახმად.

2. მიენდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—დაყოს ზემოაღნიშნული გეგმა საკალენდრო ვადებზე.

3. განისაზღვროს, რომ მერინოსისა, ნახევრად-მქისე და აქლემის მატყლისა, აგრეთვე თხის ბეწვის შესყიდვა სწარმოებს დადგენილ სახელმწიფო ფასად; ხოლო მქისე მატყლის (გაზაფხულის, შემოდგომის და ბატკნისა)—სახელმწიფო ფასზე 50%-ით მეტ ფასად.

4. ამა დადგენილების წესისამებრ მატყლის შესყიდვის სტიმულირების მიზნით:

ა) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქ. სსრ-ში უნდა უზრუნველყოს იმ პურის ფონდის თავის დროზე გაცემა, რაც გამოყოფილია ცენტრის მიერ მატყლის გამყიდველთათვის მისაყიდად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით;

ბ) სასაქონლო ფონდების კომიტეტის რწმუნებულმა საქ. სსრ სკს-თან უნდა უზრუნველყოს დამმზადებელთათვის („სოიუზზაგოტშერსტი“ და სამომხმარებლო კოოპერაცია) თავის დროზე იმ სამრეწველო საქონლის ფონდის მიცემა, რაც გამოყოფილია სასაქონლო ფონდების კომიტეტის მიერ მატყლის გამყიდველთათვის მისაყიდად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 25.

ტფილისი.

ᲒᲔᲒᲛᲐ

1934 წელს მატყლის შესყიდვისა

რაიონები	მეცხვ. სასაქ. ფერმები და კოლმეურნეობანი				სხვა მეურნეობანი				სუ			
	გაზაფხ.	შემოდგომ.	ბატკნისა	სულ	გაზაფხ.	შემოდგომ.	ბატკნისა	სულ	გაზაფხ.	შემოდგომ.	ბატკნისა	სულ
„სოიუზზაგოტშერსტი“												
დუშეთის რაიონი	17,1	8,3	5,8	31,2	28,0	13,6	6,9	48,5	45,1	21,9	12,7	79,7
ყაზბეგის „	1,9	0,8	—	2,7	65,9	15,4	17,7	99,0	67,8	16,2	17,7	01,7
თიანეთის „	—	7,5	2,2	9,7	3,0	5,4	—	8,4	3,0	12,9	2,2	18,1
თელავის „	—	15,8	12,5	28,3	14,8	25,4	20,8	61,0	14,8	45,2	23,3	89,3
გურჯაანის „	—	—	—	—	13,9	8,0	8,8	30,7	13,9	3,0	8,8	30,7
სიღნაღის „	—	66,6	26,2	92,8	19,8	82,5	72,8	175,1	19,8	149,1	99,0	267,9
საგარეჯოს „	—	1,6	1,1	2,7	0,8	22,2	26,8	49,8	0,8	23,8	27,9	52,5
ყარაიას „	12,1	6,3	3,6	22,1	28,1	26,6	18,7	73,4	40,2	32,9	22,3	95,4
ბორჩალოს „	5,4	3,8	3,3	12,5	13,8	8,7	12,2	34,8	19,3	12,5	15,[illegible]	47,3
ბაშკიჩეთის „	2,3	1,4	0,5	4,2	10,4	19,1	19,5	49,0	12,7	20,5	20,0	52,2
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	1,9	—	—	1,9	24,9	29,9	8,2	62,3	26,8	29,2	8,2	64,2
სულ „სოიუზზაგოტშერსტი“	40,7	112,1	55,2	208,0	223,5	256,1	212,4	692,0	264,2	368,2	267,6	900,0

რაიონები	მეცხვ. სასაქ. ფერმები და კოლმეურნეობანი				სხვა მეურნეობანი				ს უ ლ			
	გაზაფხ.	შემოდგომ.	ბატკნისა	ს უ ლ	გაზაფხ.	შემოდგომ.	ბატკნისა	ს უ ლ	გაზაფხ.	შემოდგომ.	ბატკნისა	ს უ ლ
სამომხმარებლო კოოპერაცია												
ტფილისის რაიონი	—	8,2	4,0	12,2	12,8	23,6	12,0	48,4	12,8	31,8	16,0	60,6
ყვარლის „	—	6,2	3,4	9,6	12,0	15,7	5,1	32,8	12,0	21,9	8,5	42,4
ალბულახ-მანგ. „	—	—	—	—	5,0	12,0	5,0	22,0	5,0	12,0	5,0	22,0
წალკის „	—	—	—	—	8,0	15,0	5,0	28,0	8,0	15,0	5,0	23,0
ლუქსემბურგ. „	—	—	—	—	5,0	12,0	8,0	25,0	5,0	12,0	8,0	25,0
კასპის „	—	—	—	—	2,0	5,0	3,0	10,0	2,0	5,0	3,0	10,0
გორის „	—	—	—	—	4,0	6,0	2,0	12,0	4,0	6,0	2,0	12,0
სტალინისის „	—	—	—	—	—	7,0	3,0	10,0	—	7,0	3,0	10,0
ბორჯომის „	—		—	—	2,0	5,0	3,0	10,0	2,0	5,0	3,0	10,0
ახალციხის „	—	—	—	—	12,0	—	—	12,0	12,0	—	—	12,0
ასპინძის „	—	—	—	—	15,0	—	—	15,0	15,0	—	—	15,0
ადიგენის „	—	—	—	—	10,0	—	—	10,0	20,0	—	—	10,0
ბოგდანოვკის „	1,5	5,1	2,3	7,9	14,6	11,3	6,2	32,0	16,1	15,4	8,5	40,0
ახალქალაქის „	2,3	8,4	4,0	14,7	6,3	4,0	5,0	15,3	8,6	12,4	9,0	30,0
წალენჯიხის „	—	—	—	—	—	6,0	—	6,0	—	6,0	—	6,0
აჭარისტანის ავტ. სსრ	—	—	—	—	10,0	—	—	10,0	10,0	—	—	10,0
სულ სამომხ. კოოპერ.	3,8	26,9	13,7	44,4	118,7	122,6	57,3	298,6	122,5	149,5	71,0	343,0
აფხაზეთის ავტ. სსრ	—	—	—	—	—	4,0	3,0	7,0	—	4,0	3,0	7,0
სულ საქართველოს სსრ	44,5	139,0	68,9	252,4	342,2	382,7	272,7	997,6	386,7	521,7	341, 6	1250,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

109. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მარტის 10.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის შესახებ.

1. საავტომობილო სამგზავრო და სატვირთო ტარიფებისა და ავტო-გადაზიდვის დამატებითი გამოსაღების დაწესებისა, შეცვლისა და გაუქმებისათვის, საჭაპანზიდვო სატარიფო საკითხების საერთო მოწესრიგებისა და ამ გადაზიდვაზე ზღვრული ტარიფების დაწესებისათვის, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსდება საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირი.

ახალი ტარიფების დაწესებისა და არსებული ტარიფების შეცვლის, დამატების და გაუქმების საკითხები შეუძლიანთ აღძრან საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის წინაშე როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ისე კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

2. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის შედგენილობაში შედიან: თათბირის თავმჯდომარე (საქ. სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე) და თითო წარმომადგენელი საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქ. სსრ სკს-თან, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქ. სსრ სკს-თან, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქ. სსრ სკს-თან, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულისა საქ. სსრ-ში, „სოიუზ-ტრანსის“ საქართველოს კონტორისა, საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოსი (სარეწაო საბჭო), ა/კ. რკინის გზების სამმართველოსი და საქართველოს სსრ შოფერთა და ავიომომუშავეთა კავშირისა.

3. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

4. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მიერ დაწესებული საავტო-საჭაპანზიდვო ტარიფები სავალდებულოა როგორც იმ სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციებისა და პირებისათვის, რომელნიც მგზავრთა გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას აწარმოებენ, ისე იმ ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და პირებისათვის, რომელნიც იყენებენ საავტო-საჭაპანზიდვო ტრანსპორტის მომსახურეობას.

5. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მიერ განსახილველი საკითხები გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით, ხოლო ხმათა თანასწორობის შეშთხვევაში თათბირის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

6. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ თათბირის ხუთი წევრისა.

7. საუწყებათაშორისო თათბირის მიერ დაწესებული ტარიფების შემოღება სამოქმედოდ, შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მის შემდეგ, როდესაც ეს გამოქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვითს ორგანოში. ამასთანავე აუცილებლად აღნიშნულ უნდა იყოს ის ზედმიწევნითი ვადები, რა ვადიდანაც ტარიფები მოქმედებაში შედის, უქმდება ან იცვლება.

8. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოსთხოვოს სათანადო უწყებას, დაწესებულებას და ორგანიზაციას საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები და მასალა.

9. თათბირის დადგენილებით ან მისი თავმჯდომარის განკარგულებით თათბირის სხდომაზე შეიძლება მიწვეულ იქნენ მცოდნე პირნი სათათბირო ხმის უფლებით.

10. სატარიფო თათბირის საქმისწარმოებას უძღვება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს აპარატი.

11. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის გადაწყვეტილებანი სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და მათი გაპროტესტება დაინტერესებულ მხარეთ შეუძლიანთ საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში.

შენიშვნა. თათბირის თავმჯდომარის პროტესტი აჩერებს მის მიერ გაპროტესტებული ტარიფების სამოქმედოდ შემოღებას.

12. საავტო-საჭაპანზიდვო გადაზიდვის ტარიფების სისწორით შაფარდებას ზედამხედველობას და კონტროლს უწევენ, გარდა თვით გადაზიდვის შეარმოებელი ორგანიზაციებისა, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო და მისი ორგანოები ადგილებზე.

შ რ ო მ ა.

110. დადგენილება ს.კ.ს.

ქალ. მოსკოვში წარვლინებულ პირთა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—დაავალოს მოსკოვში წარვლინებულ პირთ, მისვლისთანავე დაუყოვნებლივ დარეგისტრდენ სსრ კავშირის მთავრობასთან არსებულ ა/კსფსრ წარმომადგენლობაში.

2. გაფრთხილებულ იქნენ წინა მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, რომ წარვლინებულ პირთა გამოუცხადებლობა სარეგისტრაციოდ ჩაითვლება უკანონო ცხოვრებად მოსკოვში.

3. საწავრლინებო სასყიდელი გაცემულ უნდა იქნეს ამა დადგენილებით განსაზღვრული წესის დაცვის მიხედვით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი მათი ქვემდებარე საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეების მოსკოვში წარვლინების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 14.
ტფილისი.

ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა

111. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 77, 112 და 121 მუხლებისა, 122 მუხლის შენიშვნისა და 132 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე 6 №-ი, მუხ. 56) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 77 და 112 მუხლებში სიტყვები: „საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის“ შეცვლილ იქნეს სიტყვებად: „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის“.

2. 121 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 320) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„121. დაბადებისა, გარდაცვალებისა, შვილად აყვანისა და მამობის დამტკიცების ჩაწერა და ამ აქტების პირველადი ამონაწერები განთავისუფლებულია ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

დაქორწინების ან განქორწინებისა და სახელის თუ გვარის გამოცვლის აქტების რეგისტრაციისათვის გარდაიხდევინება ერთიანი სახელმწიფო ბაჟი სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი რაოდენობით“.

3. 122 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 208) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** სახელისა და გვარის გამოცვლის ჩასაწერ დავთრებს აწარმოებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოები.

სახელისა და გვარის გამოცვლის წესს ამყარებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო [დანართი]“.

4. 132 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„132. უკეთუ 130 მუხლით დაწესებული ვადა არაპატივსადები მიზეზით იქნა გადაცილებული, იმ პირს, ვინც ვალდებული იყო სათანადო განცხადება შეეტანა, შეიძლება საადმინისტრაციო წესით დაედოს გადასახდელი:

სოფლად—სასოფლო საბჭოს დადგენილებით—ჯარიმა ათ მანეთამდე,

ქალაქად—ჯარიმა ოც მანეთამდე;

ხოლო რეგისტრაციისაგან ბოროტეულად თავის არიდების შემთხვევაში—როგორც სოფლად ისე ქალაქად—ჯარიმა ას მანეთამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი**

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი **თ. ჟლენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

---

112. დადგენილება ს. კ. ს.

„გვარისა და სახელის გამოცვლის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 და 8 მუხლების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-2 და 8 მუხლები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 17-ის დადგენილებისა „გვარისა და სახელის გამოცვლის წესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 223) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ის პირი, ვისაც ჰსურს გამოიცვალოს გვარი (შთამომავლობითი სახელწოდება) ან სახელი, შეიტანს განცხადებას დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოსთან ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სათანადო ორგანოში, თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; განცხადებას უნდა დაერთოს მთხოვნელის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ამ დოკუმენტების ასლი, სანოტარო წესით დამოწმებული“.

„8. გვარისა თუ სახელის გამოცვლაზე უარის თქმა შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 16.

ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

113. დადგენილება ც. ა. კ. და ს.კ.ს.

სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისთვის მომზადების შესახებ.

მიმდინარე სასწავლო წლის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ საქართველოს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებანი შეხვდნენ 1933/1934 სასწავლო წელს უფრო მომზადებული, ვიდრე წინა წლებში იყო; გაუმჯობესდა სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობა, გადიდდა ამ დაწესებულებათა ქსელი და სხვა მისთ.

სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად და ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიმდინარე წლის აგვისტოს 20-მდე დამთავრებულ იქნეს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ახალი და დასამთავრებელი შენობების მშენებლობა და რემონტი (საბავშვო ბაღებისა, კერებისა, პრიმიტივებისა და სხვ. მისთ.).

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის განმანაწილებელ კომისიას—უზრუნველყოს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე სათანადო საშენი მასალით ამა მუხლში აღნიშნული შენობების მშენებლობა და რემონტი.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 2-ის დადგენილებისა „სასკოლო სადგომების გამოყენების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი მე-17 №-ი, მუხ. 140), დაამთავრონ მიმდინარე წლის აგვისტოს 1-მდე სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა სადგომებიდან იმ უცხო დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და პირების გამოსახლება, რომელთაც არა აქვთ კავშირი სკოლამდე აღზრდის საქმესთან.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს—გამოძებნონ სახსარი, რაც საჭიროა ინვენტარისა და დამხმარე სათვალსაჩინო საგნების შესაძენად და სარემონტოდ (სკამები, მაგიდები, სადიდაქტიკო მასალა და სხვა მისთ.).

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს—დაამთავრონ მიმდინარე წლის აპრილის განმავლობაში 1934/1935 სასწავლო წელს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებისათვის საჭირო სათბობი მასალის დამზადება.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებანი მიწის ნაკვეთებით დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად. წინადადება მიეცეს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს—გაუწიონ დახმარება სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებს ცოცხალი საწევი ძალის მიჩენით, მიწის ნაკვეთების დამუშავებით და აგრეთვე დასათესად თესლეულისა და საჭირო ინვენტარის და მოზარდ ცხოველთა (გოჭები, შინაური კურდღელი, ფრინველი და სხვა მისთ.) გამოყოფით.

6. წინადადება მიეცეს სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებს—ჩაატარონ იმ ბავშვთა აღრიცხვა, რომელნიც რჩებიან სკოლამდე აღზრდის დაწესებულებების გარეშე, და იხმარონ ღონისძიებანი სკოლამდე აღზრდის ახალ დაწესებულებათა გასახსნელად, რისთვისაც უნდა გამოიყენონ საზოგადოებრივი ინიციატივა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის გამგეობას—დააჩქაროს, თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, ოცი საბავშვო სტაციონარული დაწესებულების გახსნა და უზრუნველყოს ეს დაწესებულებანი სათანადო ინვენტარით და დამხმარე სათვალსაჩინო საგნებით.

ამ მიზნით წინადადება მიეცეს სამეურნეო ორგანიზაციებს—გადარიცხონ მიმდინარე წლის მაისის 1-თვის სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის განკარგუ-

ლებაში მათი საფინანსო გეგმებით და ხარჯთაღრიცხვებით სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის საჭიროებისათვის გათვალისწინებული თანხები.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მომარაგება კვების პროდუქტებით საგეგმო ფასად.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გააძლიეროს ოპერატიული კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა სკოლამდე აღზრდის დაწესებულებების მუშაობისათვის და უზრუნველყოს სტაციონალური საბავშვო დაწესებულებების საზაფხულო ბაქნებზე გადაყვანა.

საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყულენტი.**

1934 აპრილის 16.

ტფილისი.

---

114. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების შესახებ.

მიმდინარე სასწავლო წლის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლები შეხვდენ 1933/1934 სასწავლო წელს უფრო მომზადებული, წინა წლებთან შედარებით, მუშაობენ ახალი პროგრამებისა და სტაბილური სასწავლო წიგნების საფუძველზე, და, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებით, მასწავლებლის წამყვანი როლის ამაღლებით და სასკოლო რეჟიმის განმტკიცებით, ამ სკოლებმა მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებას.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო განათლების განყოფილებისათვის პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა, სამეურნეო ორგანიზაციებისა, კოლექტიური მეურნეობისა და მშრომელთა ფართო მასების მიერ გაწეულ ენერგიულ დახმარებას.

სოციალისტური მშენებლობის დღევანდელი ეტაპი უფრო დიდ მოთხოვნებს აყენებს სკოლის წინაშე. ამ მოთხოვნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XVII პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით. 1934/1935 სასწავლო წლისათვის წარმატებული მომზადებით მიღწეულ უნდა იქნეს სკოლის მუშაობის მაღალი ხარისხი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

ამისდამესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს:

ა) მოისმინონ ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების პლენუმის ან პრეზიდიუმის უახლოეს სხდომებზე (1934 წ. აპრილში) მოხსენებანი ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის მომზადების შესახებ, რისთვისაც უნდა გამოიყენონ მიმდინარე წელს სკოლის მუშაობის წინასწარი ჯამობითი ცნობები და დასახონ მუშაობის სამზადისის კონკრეტული გეგმები;

პასუხისმგებლობა 1934/1935 სასწავლო წლისთვის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისათვის უნდა დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს;

ბ) დაამთავრონ მიმდინარე წლის აგვისტოს 15-მდე ახალი სასკოლო შენობებისა და დაწყებული სასკოლო შენობების მშენებლობა, აგრეთვე არსებული სასკოლო შენობების რემონტი;

გ) თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 2-ის დადგენილებისა „სასკოლო სადგომების გამოყენების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 140), დაამთავრონ მიმდინარე წლის ივლისის 1-მდე სასკოლო სადგომებიდან იმ უცხო ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და კერძო პირების გამოსახლება, რომელთაც არა აქვთ ურთიერთობა სკოლასთან;

დ) უზრუნველყონ მიმდინარე წლის აგვისტოს 25-მდე სკოლები საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარით (პარტები, მაგიდები, სკამები, დაფები და სხვა მისთ.) — ისე კი, რომ სასკოლო ავეჯეულობა აუცილებლად შეესაბამებოდეს სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნათ (ახალი ინვენტარის შეძენა და არსებული ინვენტარის რემონტი);

ე) ლიკვიდირებულყონ ერთი დეკადის განმავლობაში სამუშაო ხელფასის მთელი დავალიანება მასწავლებლებისადმი და განახორციელონ მკვეთრი ღონისძიებანი მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის (კომუნალური მომსახურეობა, მომარაგება და სხვ. მისთ.);

ვ) უზრუნველყონ მიმდინარე წლის აგვისტოს 15-მდე ყველა სკოლა მთლად 1934/1935 სასწავლო წლის განმავლობაში საჭირო სათბობი მასალით;

ზ) გამოყონ სახსარი სკოლებისათვის პოლიტექნიკური და ლაბორატორიული გაწყობილობისა, სასწავლო წიგნებისა, დამხმარე სასწავლო წიგნების და ხელსაწყოებისა და სასკოლო-საწერი საგნების შესაძენად-ისეთი ვარაუდით, რომ არა ჯგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 1-ისა სკოლები მთლად უზრუნველყოფილ იქნენ სასწავლო წიგნებით და დამხმარე სასწავლო წიგნებით და ხელსაწყოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს — უზრუნველყოს თავის დროზე ახალი სასწავლო წლისთვის მოსამზადებლად საჭირო სახსართა დანიშნულებისამებრ გამოყოფა.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის განმანაწილებელ კომისიას — გამოყოს მიმდინარე წლის მაისის 20-მდე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში სასკოლო მშენებლობისათვის დანიშნული საშენი მასალა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს, „სახელგამთან" ერთად, პროგრამებისა, სასწავლო წიგნებისა და დამხმარე სასწავლო წიგნების და ხელსაწყოების გამოცემა — ისეთი ვარაუდით, რომ ყოველივე ეს მიწვდენილ იქნეს რაიონებამდე არა უგვიანეს მიმდინარე წლის აგვისტოს 15-ისა; წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — გამოისყიდონ ეს სასწავლო წიგნები არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 1-ისა.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უნდა მოისმინოს ა/წ. მაისში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და „სახელგამის" მოხსენებანი სასწავლო წიგნებისა, პოლიტექნიკური და ლაბორატორული გაწყობილობისა, დამხმარე წიგნების და ხელსაწყოებისა და ქაღალდის და საწერი საგნების წარმოებისა და სკოლებისათვის მიწოდების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველყოს მიმდინარე წლის აგვისტოს 1-მდე სკოლები მთლად პედაგოგიური კადრებით;

ბ) გააძლიეროს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები გამოცდილი ხელმძღვანელ-ორგანიზატორებით და მომზადებული მეთოდისტებით;

გ) მოაწყოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მასური გარდამზადება საზაფხულო კურსებზე და ჩაატაროს მასწავლებელთა მეთოდიკური კონფერენციები სასწავლო წლის დაწყებამდე;

დ) უზრუნველყოს ადგილებზე ახალი სასწავლო წლისთვის მომზადების საქმეში ოპერატიული ხელმძღვანელობა და ამ მიზნით გამოიყენოს პარტიული, კომკავშირული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და მშრომელთა ფართო მასების ინიციატივა და აგრეთვე მატერიალური სახსარი, რასაც ისინი გამოჰყოფენ ნებაყოფლობის საფუძველზე სკოლის საჭიროებისათვის.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — მიუჩინოს არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 20-ისა ყველა სასოფლო სკოლას მიწის ნაკვეთები, ხოლო საარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სახალხო განათლების განყოფილებებს — უზრუნველყონ ამა თუ იმ რაიონის წამყვანი კულტურის სასწავლო-დამხმარე მეურნეობის შექმნა (ბამბა, ციტრუსები, ჩაი და სხვა მისთ.).

8. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებს — მოაწყონ საწარმოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობების მონაწილეობა საშეფო სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაში — სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტში მონაწილეობის მიღებით, საშენი მასალის მოპოებით, მუშა-ძალის დახმარებით და სასკოლო სახელოსნოებისათვის საწარმოთა უვარგისი ინსტრუმენტარიისა და ნარჩენების გადაცემით, სამუშაო ადგილების გამოყოფით მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის და სხვა მისთ.; ჩაატარონ მიმდინარე წლის სექტემბრის 1-მდე საშეფო ხელშეკრულებების ხელახლად დადება სკოლებსა და ფაბრიკებსა, ქარხნებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის.

9. წინადადება მიეცეს ცენტრალურ და სარაიონო გაზეთებს — სისტემატურად გააშუქონ ახალი სასწავლო წლისთვის მომზადების საქმის მსვლელობა, რისთვისაც უნდა მოაწყონ ცალკეული რაიონებისა და სკოლების დათვალიერება იმისთვის, თუ რამდენად არიან სკოლები მომზადებული სასწავლო მუშაობის დაწყებისათვის.

10. მიმდინარე წლის აგვისტოს 25-მდე დამთავრებულ იქნეს მთელი მომზადებითი მუშაობა ახალი სასწავლო წლისთვის. 1934 წლის აგვისტოს 25—30-ს ჩატარებულ იქნეს ნორმალური მეცადინეობისათვის სკოლების მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიური. თვითეული სკოლა უნდა შეამოწმოს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც მოეწყობა სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო ან სასოფლო საბჭოს განკარგულებით და იმუშავებს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ამ საკითხის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის საფუძველზე.

11. მეცადინეობა სკოლებში დაწყებულ უნდა იქნეს 1934 წ. სექტემბრის 1-დან.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს — უზრუნველყოს კონტროლი ამა დადგენილების ზედმიწევნით განხორციელებისათვის.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. აპრილის 16
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. კომუნისტის 92 №-ში 1934 წ. აპრილის 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

115. დადგენილება ც.ა.კ.

მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ.

ვინაიდან მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის კულტურული ფრონტისათვის, და იმ მიზნით, რათა შეიქმნას ისეთი პირობები, რაც უზრუნველჰყოფს ამ ამოცანის უფრო რაციონალურად გადაწყვეტას მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსდება კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

2. არქიტექტურის ძველი ძეგლების (კულტისა, ციხე-სიმაგრისა, სასახლისა) რემონტი, რესტავრაცია, გადაკეთება, მოშლა და გამოყენება სწარმოებს მარტოოდენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის წინასწარი ნებართვით.

შენიშვნა. არქიტექტურის ძეგლთა ფაქტური დაცვის მოვალეობა ეკისრებათ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს, ადგილობრივი მუზეუმების ან მათი მონაცვლე ორგანოების უშუალო მონაწილეობით.

3. არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ღონისძიებათა განსაზღვრა და ამ ძეგლების ამოთხრა სწარმოებს მარტოოდენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის ნებართვით.

4. არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ყველა რამ ნაპოვნი, განძი და ცალკეული საგანი უნდა ჩაჰბარდეს სათანადო მუზეუმს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად.

5. ხელოვნებისა და ძველი დროის, სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე, ყველა საგანი, რაც უპატრონო ქონებას წარმოადგენს (სამოქ. სამართ. კოდ. 68 მუხლი) ან რაც ვისიმე სამეურნეო სარგებლობაშია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის წინასწარი ნებართვის გარეშე, უკეთუ ეს საგანი აღმოჩენილ იქნა, აუცილებლად უნდა გადაეცეს სათანადო მუზეუმს კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად.

6. სავალდებულო დადგენილებებს კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ სცემენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელ საადმინისტრაციო სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოები, ხოლო წინასწარ ეს დადგენილებები წარედგინება შესათანხმებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტს.

7. ამა დადგენილების დამრღვევნი მიიცემიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 207 და 116 მუხლების თანახმად.

8. ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი ხორციელდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად.

9. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ივლისის 4-ის დადგენილება „სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 30). გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. აპრილის 16.

ტფილისი.

---

116. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. აპრილის 16.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის შესახებ.

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის ამოცანას შეადგენს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვა და შესწავლა.

2. კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. კომიტეტის წევრები არიან: 1) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი, 2) საქართველოს მუზეუმის დირექტორი, 3) ხელოვნებათა მუზეუმის დირექტორი, 4) სარევოლუციო მუზეუმის დირექტორი, 5) მუნიციპალური მუზეუმის დირექტორი, 6) ცალკეული სამეცნიერო და სამეურნეო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მატერიალური კულტურის და ხელოვნების ისტორიის ცალკეული სპეციალისტები—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრუზიდიუმის დანიშვნისამებრ და 7) აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის წარმომადგენელნი—სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დანიშვნისამებრ.

4. კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სახით გამოიყოფა კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შედგენილობით: კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმის ორი წევრი და სწავლული მდივანი.

კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს და სწავლულ, მდივანს აირჩევს კომიტეტის პლენუმი თავის წევრთა შედგენილობიდან.

5. კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტს ეკისრება:

ა) ზედამხედველობა გაუწიოს არქიტექტურის ძველი დროის ძეგლების (კულტისა, ციხე-სიმაგრისა, სასახლისა) და მონუმენტალური მხატვრობის ძეგლების (მოზაიკა, ფრესკი) შენახვას, რემონტს და რესტავრაციას;

ბ) შეაგროვოს და დაიცვას მატერიალური კულტურისა, ხელოვნებისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების ცალკეული ძეგლები, რასაც სამეცნიერო-მხატვრული მნიშვნელობა აქვს (მაგალითად: პლასტიკის ნაწარმოები ლითონზე, ჩუქურთმა ხეზე, ქვაზე, უძველესი წარწერები, ხელთნაწერები, მინანქარი, ნაკერი და სხვა მისთ.);

გ) აღნუსხოს სრულად ყველა ძეგლი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, რაც დაცულ უნდა იქნეს;

დ) შეადგინოს საქართველოს არქეოლოგიური რუკა;

ე) შეიმუშაოს და განახორციელოს არქეოლოგიური მუშაობის ახალი ფორმები ახალსაშენებლებზე;

ვ) იხმაროს ღონისძიებანი დაუზოგველი გათხრებისა და ქცევა-ნგრევის წინააღმდეგ;

ზ) განსაზღვროს მუშაობის ობიექტები და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ სამუშაოების დაგეგმვას და მომზადებას;

თ) თავის დროზე მოაწყოს ძველი ნაქალაქევებისა, დასახლებული ადგილებისა, ყურგანებისა, სასაფლაოებისა, საკულტო ადგილებისა და სხვა მისთ. ნაშთების მეცნიერულად დაყენებული კვლევა-ძიება და გათხრები;

ი) მოაწყოს ექსპედიციების მიერ მოპოებული მასალების წინასწარი კამერალური დამუშავება და გადასცეს ეს მასალა სათანადო მუზეუმებს;

კ) აწარმოოს მშრომელთა ფართო მასებში კულტურის ძეგლთა შესწავლისა და დაცვის მნიშვნელობის პოპულარიზაცია და პროპაგანდა.

6. თავისი ამოცანების უფრო წარმატებით გადაწყვეტისათვის კომიტეტს აქვს უფლება:

ა) ჩააბას მუშაობაში და გამოიყენოს სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა და სასწავლებელთა სათანადო კადრები;

ბ) დააარსოს თავის შედგენილობაში მუდმივი და დროებითი კომისიები და აგრეთვე მოაწყოს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში კომიტეტის ბიუროები, რომელნიც მოქმედობენ მისი მითითებით;

გ) მოიწვიოს თათბირები და კონფერენციები თავისი გამგებლობის საკითხებზე;

დ) შეადგინოს ბიბლიოთეკა თავისი გამგებლობის საკითხების მიხედვით;

ე) გამოაქვეყნოს კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ექსპედიციებისა და გამოკვლევების შედეგები;

ვ) იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართვა თავისი სახელით უწყებებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე ცალკეულ პირებთან კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

7. კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტს აქვს დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა და ჰყავს შტატი, რასაც ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

8. კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით.

სრ. საქ. ც.ა.კ ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. აპრილის 16.

ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 21. 3/მ **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1 3/8 ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 17/V, ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VI. ტირაჟი 1.600.

მთავლიტი ს.—№ 46 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 780